

**2011 წლის 1 ივნისი**  
**ს.ს.ი.პ “საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის”**  
**აღმასრულებელი საბჭოს სხდომის**  
**ოქმი**

ს.ს.ი.პ “საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის” მისამართი:

ქ.თბილისი, ბარნოვის ქ № 75

სხდომის დაწყების დრო 20:00

**სხდომაზე დამსწრე აღმასრულებელი საბჭოს წევრები:** მაზა ხაგიაშვილი(თავმჯდომარე), ქეთევან ბექაური, მაზა ბიბილაშვილი, ზვიად კორძაძე, გოჩა სვანიძე, ნოდარ ფეიქრიშვილი, ბესო აბაშიძე, ცისმარი ონიანი

**დღის წესრიგი:**

1. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ახალი ოფისის შექმნის საკითხის შესახებ მსჯელობა;
2. ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანება;
3. ეთიკის კომისიის 2011 წლის 18 მაისის გადაწყვეტილების დამტკიცება (ეთიკის კომისიის იურისტის ნინო ცუხიშვილი მიემგზავრება საზღვარგარეთ სასწავლებლად 2011 წლის 1 ივნისიდან 2012 წლის 31 ივნისის ჩათვლით. განცხადებაში იგი ითხოვს დაბრუნების შემდეგ, 2012 წლის 1 ივლისიდან ეთიკის კომისიაში იგივე თანამდებობაზე საქმიანობის გაგრძელებას).
- ა). ეთიკის კომისიის იურისტის ვაკანტურ თანამდებობაზე 2010 წლის 1 ივნისიდან 2012 წლის 1 ივლისამდე იურისტის აყვანის თაობაზე.
4. სამოქალაქო სამართლის კომიტეტის საკითხის შესახებ მსჯელობა;
5. კომერციული სამართლის კომიტეტის შექმნის თაობაზე;
6. სხვადასხვა მიმდინარე საკითხები

## გ ა დ ა წ ე გ ი ტ ა:

1. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ახალი ოფისის შექმნის შესახებ საკითხის დეტალური შესწავლის მიზნით, დათვალთმავებული იქნეს ფართი, რომელიც მდებარეობს ქმები ზუბალაშვილების ქ. № 34-36-ში და შემდეგ მიღებულ იქნას შესაბამისი გადაწყვეტილება.

2. საქართველოს კანონის “ადვოკატთა შესახებ” მე-10 მუხლის შესაბამისად, დაკმაყოფილებულ იქნას სხდომაზე წარმოდგენილი ყველა გასაწვევრიანებელ პირთა განცხადება თანდართული საბუთებით; ასევე დაკმაყოფილებულ იქნას სხდომაზე წარდგენილი იმ უფლებამოსილებაშეწყვეტილ პირთა განცხადებები ხელახალი გაწვევრიანებისთვის, რომლებიც შეესაბამებიან საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“ მე-10 მუხლის, 1 პუნქტის მოთხოვნას გაწვევრიანებაზე.

- საქართველოს კანონის ადვოკატთა შესახებ, 21-ე მუხლის, მე-3 პუნქტის, “ბ” ქვეპუნქტის საფუძველზე (ადვოკატთა ასოციაციაში გაწვევრიანებაზე პირისთვის უარის თქმის საფუძველზე: თუ ბ) მის მიერ ტესტირების გავლიდან გასულია 7 წელი) არ დაკმაყოფილდეს **თამარ ჩანგიშვილის** განცხადება ასოციაციაში გაწვევრიანების თაობაზე საერთო სპეციალიზაციით და საქართველოს კანონის “ადვოკატთა შესახებ” მე-10 მუხლის შესაბამისად, იგი გაწვევრიანებულ იქნას ასოციაციაში მის მიერ წარმოდგენილი მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი სერტიფიკატის (სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციით) საფუძველზე .
- საქართველოს კანონის ადვოკატთა შესახებ, 21<sup>2</sup> მუხლის, გ პუნქტის (მე-10 მუხლის მე-3 პუნქტი: ადვოკატი არ შეიძლება იმავდროულად იყოს „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული თანამდებობის პირი და სხვა პირი, რომელსაც კანონმდებლობით ეკრძალება საადვოკატო საქმიანობის განხორციელება) საფუძველზე და წევრობის შეჩერების შესახებ პირადი განცხადების საფუძველზე, **თეა კობიაშვილს** შეუჩერდეს ასოციაციის წევრობა ხელახლა გაწვევრიანებისთანავე.

3. სამოქალაქო სამართლის კომიტეტი დაიყოს სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის კომიტეტებად. სამოქალაქო სამართლის კომიტეტის ხელმძღვანელად დამტკიცდეს ბ-ნი გოჩა სვანიძე; ადმინისტრაციული სამართლის კომიტეტის ხელმძღვანელად – ქ-ნ ქეთევან ქვარცხავა.

4. შეიქმნას კომერციული სამართლის კომიტეტი და კომიტეტის ხელმძღვანელად დამტკიცდეს ზაზა ბიბილაშვილი.

## ზაზა ხატიაშვილი

### ასოციაციის თავმჯდომარე